

ბანკის ვებგვერდზე <https://www.tcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments> განთავსებული “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.3. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გათავაზობთ “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო დებულებებში” (შემდგომში “საერთო დებულებები”) შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. შეიცვალოს საერთო დებულებების 2.2.1.21 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.2.1.21 პოს ტერმინალის მუშაობაში ხარვეზ(ებ)ის წარმოქმნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს.“

2. შეიცვალოს საერთო დებულებების 2.2.1.30 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.2.1.30 ტერმინალის გაუმართაობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ნომერზე: +995 32 2 27 27 30.“